საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსი

ეკონომიკისა და ბიზნესის

საკონკურსო კომისიის

შემაჯამებელი *სხდომის ოქმი №3*

ქ. ბათუმი 12.02. 2019 წელი

საკონკურსო კომისიის წევრები

1. ბახტაძე ეკა - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი
2. ჩაგანავა პაატა - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი
3. მესხიძე ია - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი
4. ჩხაიძე ირმა - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი
5. გვარიშვილი გურამ - ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი

დღის წესრიგი:

1. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 09 ივნისის N36 დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსის დებულების საფუძველზე 2019 წლის თებერვალში **ეკონომიკისა და ბიზნესის** მიმართულებით ჩატარებული კონკურსის საფუძველზე საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმის დამტკიცება.

მოისმინეს 1: საკონკურსო კომისიის მდივნის ინფორმაცია, რომელმაც აღნიშნა შემდეგი:

ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 28 დეკემბრის №01-08/184 ბრძანების შესაბამისად ჩატარებულ კონკურსში ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულებით წარმოდგენილი იყო 4 მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი, მათ შორის 3 ახალგაზრდა მკვლევარის. საკონკურსო კომისიამ სულ ჩაატარა 3 სხდომა, მათ შორის N2 სხდომაზე განხილული და შეფასებული იქნა მიერ წარმოდგენილი პროექტები. ყველა პროექტი შეფასდა და მიენიჭათ ქულები. მათ შორის ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო:

ა) საკონკურსო კომისიის N2 ოქმის თანახმად - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის, ბადრი გეჩბაიას პროექტმა ,,ქართული წარმოების

ზოგიერთი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის კვლევა ადგილობრივ ბაზარზე“ (92,75 ქულით);

ბ) საკონკურსო კომისიის N2 ოქმის თანახმად - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მოწვეული პედაგოგის, **ახალგაზრდა მკვლევარის,** თამთა ვარშანიძის პროექტმა „საზღვაო სატრანსპორტო კლასტერების ფორმირების პერსპექტივები და ტენდენციები რეგიონალურ ეკონომიკაში (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაგალითზე)“ (91 ქულით).

საკონკურსო კომისიამ ერთხმად დაადგინა:

1. **ბსუ-ს** მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევ კონკურსში **ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართლებით** გამარჯვებულად გამოცხადდეს:

1.1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის, ბადრი გეჩბაიას პროექტი (პროექტის ბიუჯეტი 18550ლარი) ,,ქართული წარმოების ზოგიერთი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის კვლევა ადგილობრივ ბაზარზე“ (92,75 ქულით)

2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მოწვეული პედაგოგის, **ახალგაზრდა მკვლევარის,** თამთა ვარშანიძის პროექტი (პროექტის ბიუჯეტი 8300ლარი) „საზღვაო სატრანსპორტო კლასტერების ფორმირების პერსპექტივები და ტენდენციები რეგიონალურ ეკონომიკაში (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაგალითზე)“ (91 ქულით).

3. წინამდებარე ოქმი გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (გაიგზავნოს ელექტრონულ ფოსტაზე - Web@bsu.edu.ge) და მიღებული გადაწყვეტილება გადაეგზავნოს ბსუ-ს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: ბ. ტალიბელი

მდივანი: ი. [illegible]